

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

1 აპრილი 2011

№7(137)







თამაზ ნატროშვილის დოკუმენტური ნოველა
ტრაპიზონის იმპერია და საქართველო
ინგა მილორავა ზაალ სამადაშვილზე
მივიწყებული წარსულის საიდუმლო
ნუციკო დეკანოზიშვილის ლექსები
რეი ბრედბერის დროის მანქანა
ბონაპარტისტული ჩანანერები

1516
2011



წიგნის თარო





შინაარსი

ვირი და პაფოსწყარა	2	ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და საძვარეთქელო (ნინო საბაშვილის ესაუბრება ნესტან ბაგაური)
უჩუბულო რაქარსი	4	თამაზ ნატროშვილი ხახმბატალი ზევისურის შარდვასახვა
აფსაროს-ინბანი	7	გიორგი გოგოლაშვილი სიმართლისათვის ბრძოლას ყოველთვის აძვს აზრი (მოამზადა ნატა ვარადაძე)
დღიურის ფრაგმენტები	8	თათია ჯგუშია მგზაგაზდობი (კატო ჯგუფისთვის ერთი ლექსის გამო)
პირობა	9	რუსუდან ტუბაბერია ხანა
პირობა	14	ნუციკო დეკანოზიშვილი დილის ლექსი
უსუნთხის სარკაზმიდან	16	ჯონათან ლინი, ენტონი ჯეი „ღიზი, პატრონო მინისტრო“
აფსაროს გავაზა	25	გურამ გოგიაშვილი მივინყავალი ნასაულის საიფუძოლი (ელგუჯა ხინთიბიძის „ვეფხისტყაოსანი“ შექსპირის ეპოქის ინგლისში“)
გამომავალი	27	თენგიზ საბაშვილი ვაქთანგოვანი თუ არა რუსთაველს? (ლია კარიჭაშვილის „სამი საღვთისმეტყველო სათნოება და „ვეფხისტყაოსანი“)
გამომავალი პირდაპირი	28	რიტა ბაინდურაშვილი ჯადოსნური სამყაროს სენა და ხიჯლი
თავა მართლისა	30	საბა სულხანიშვილი რაბალო და ინფანტილიზმი (ქართული რომანის ბედთან დაკავშირებით)
წიგნი და წიგნი	32	როსტომ ჩხეიძე და ქაშისა მამა პარედი (ბონაპარტისტული ჩანაწერები)
რამაზაშვილი	40	ეკა ბუჯიაშვილი „ბაბუჯაბაბი“ (ტარიელ ხარხელაურის პოეზიის საღამო)
ქრტილი	43	ინგა მილორაგა მდინარის სათავე (ზაალ სამადაშვილის „მოთხრობები ზიტებისთვის“)
წიგნი აბაბაბა	48	ანა ბერძენიშვილი სამყაროს გამომავალი (მურად მთავარელიძე და მისი „მეგობრები“)
ახალი წიგნი	51	ზურაბ ლავრელიშვილი რა უახსუხა მინაშვილიდან ალას
ლიბრეტოების სერია	53	ნინო დეკანოიძე მართალი სიტყვის და კალმით (თემურ მეტრეველის ხსოვნის საღამო)
ახალი მარგალიტი	53	პოეზიის თაღი (მანდორ პეტრესი გახსენება)
ნაკვეთი	54	რეი ბრედბერი დროის განძანა
მონაქი	63	მხვინველთაგანის ნიშნები ტრავის შარდვანი

ორკვირული ჟურნალი
 დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩუბინაშვილის №41
 რედაქცია - (995 32) 96_20_62
 რეკლამა - (995 93) 65_93_68
 გაერცვლება - (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E_mail: info@mtserloba.ge



PRINTED BY "OMEGA" PRINT HOUSE
 TELAVI, GEORGIA, 17 SARAJEVU STREET
 TELEPHONE: +995 32 53 03 02

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი – მაცა ჯოხაძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი – კარლო ფარულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
 სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკავალდებულა – თენგიზ რობიჭაშვილი
 ოპერატორი – თამარ ჩხეიძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
 გაერცვლების სამსახური – ლევან კიკნაძე
 გაერცვლები: თათია პაქეკორია
 ჯგუფი კასრადის ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 15 აპრილს



ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და საქართველო

ტრაპიზონის იმპერია 1204 წლის აპრილში დაარსდა. მისი პირველი იმპერატორი ალექსი I დიდი კომნენოსის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ანდრონიკე I-ის შთამომავალი იყო.

რა კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეფო კარს ტრაპიზონის იმპერიის შექმნის გარემოებებთან და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი ქართული საზოგადოებისთვის, ამის შესახებ ჩვენი ჟურნალისტი ნინო სპატიანი ესაუბრება ხელნაერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელს, ტრაპიზონის ისტორიის მკვლევარს, ისტორიის მეცნიერებთან მაგისტრს ნესტან ბაბაურს.

— XIII საუკუნის დასაწყისში (1204 წ.) შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტრაპიზონის სამეფო შეიქმნა. მისი პირველი იმპერატორი ალექსი I დიდი (1204-1222) ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე კომნენოსის (1183-1185) ვაჟი გახლდათ. საკმე ისაა რომ 1185 წელს აჯანყების შედეგად ბიზანტიის კეისარმა ანდრონიკემ ტახტი დაკარგა. საინტერესოა, რომ კონსტანტინოპოლიდან დევნილი იმპერატორი გარკვეულ ხანს საქართველოს სამეფო კარს ტყულობდა.

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებებში „ისტორიანი და ზღაპანი შარავანდედიანი“ დაცულია კონბა ამ ფაქტის შესახებ: „მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნენოსი ცოლითა საბერძნეთელითა და შუენიერითა, თანა შვილებითურთ და დისწულითა. მამის დისწული დიდისა მანოელ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა. და ვითარ მართებდა, ეგრეთ მმადლო-ბელმან ღმერთმან შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყვისი სახლის შვილობისა მისისა“.

ანდრონიკემ აქ ციხეები და ქალაქებიც მიიღო და ქართველთა ფართან ერთად დარუბანდში ლაქერებმა მის ვაჟებს, ალექსისა და დავითის, ისინი საქართველოს სამეფო კარზე იზრდებოდნენ. ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის მკვლევარი თეოდორ უსპენსკო სამართლიანად შენიშნავს, რომ კომნენოსები ალექსი და დავითი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი მოხდნენ საქართველოში და აქვე აღიზარდნენ. მათი საღამოა-კო ენა ბერძნულის თანადროულად ქართულ იყო. ბუნებრივია, თამარის სამეფო კარზე აღზრდილი ბიზანტიური სამეფო ვეარის შთამომავ-


ალი იყვლენ ქართული ცხოვრების წესის გარემოცვაში იყვნენ. ასე რომ, 20 წლისანი ისინი ქართველ დიდგვაროვნებს უფრო შეადგნენ, ვიდრე ბიზანტიელებს.

მიუხედავად ამისა, სრულწლოვან კომნენოსებს, როგორც ჩანს, შენარჩუნებული ჰქონდათ სამეფო საგვარეულოს მემკვიდრეთათვის დამახასიათებელი ამბიციები. საფიქრებელია, რომ საქართველოს სამეფო კარზე ყველანაირად ცდილობდნენ ეს ამბიციაც გაეღვივებინათ და ხელსაყრელ მომენტში თავისი ინტერესებისთვისაც გამოეყენებინათ. მით უფრო, რომ საქართველოს სამეფოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში შედიოდა მის სამხრეთ-დასავლეთით, საიდანაც გამუდმებულ საფრთხეს წარმოადგენდა რუმის მუსლიმური სასულთნო, შექმნილიყო ზაგრატიონთა სამეფო სახლის მოკავშირე ბუფერული სახელმწიფო ერთეული — ტრაპიზონის ქრისტიანული იმპერიის სახით.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი, ეკრძოდ, ტრაპიზონის იმპერიის მმართველი კომნენოსთა საგვარეულო წარმოშობით მცირეაზიური პროინციებიდან იყო. ბიზანტიის იმპერიის ის განაპირა თემები, რომელთა საფუძველზეც შემდგომ ტრაპიზონის იმპერია შეიქმნა, ისტორიული წყაროების მიხედვით, ძირითადად ლაზურ-ჭანური ეთნიკური ელემენტი იყო დასახლებული (ეს ელემენტი თავის მნიშვნელობას ინარჩუნებდა იმპერიის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე). კომნენოსთა ადგილობრივი, მცირეაზიური წარმოშობა და ლაზურ-ჭანური ელემენტი ის არსებითი ფაქტორებია, რომლებიც ხელსაყრელ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებდნენ.

— რა ხელსაყრელი გარემოებებია, რომელთაც განაპირობებს კომნენოსთა წარმატება და იმპერიის შექმნა XIII საუკუნის დასაწყისში?

— ეს ხელსაყრელი მომენტი 1204 წელს დადგა, როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს. ბიზანტიის იმპერიის დაშლა უფრო რეალობად იქცა. ალექსისა და დავითს თავისი მცირეაზიური მამულები დასაკავებლად წინ თითქმის აღარაფერი ელოებოდათ. საინტერესოა, რომ ამ ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი თამარს მანამდე ჰქონდა დაკავებული. თამარის ისტორიკოსის ზასლი ეზოსმოდვარის მიხედვით, თამარ შეივსა საელქესო მოღვაწეებისა და მწიგნობრისთვის დადგალი საგანძური გაუტანებია ბიზანტიაში, აქ არსებული წმინდა სავანეებისათვის. ბერძენთა მეფეს ალექსი ანგელოსს (1203-1204) ეს ქონება მოუთხოვინა. მეფე თამარს ამ სახაბით უსარგებლოა და ბრძოლით დაუკავებია მთელი რიგი მცირეაზიური მნიშვნელოვანი ქალაქები. სწორედ ამ მოვლენას ასახავს წყარო: „ეგრან ესე თამარ მეფემან, ნაცულად სხვა უფროსი წარუზავან მათ წმინდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცეზინა“.





ეშპიკი, ხოლო განრისხნა შეუხსა ზედა ბერძენთასა, ნარ-
გ ზაენა მცირედნი ვინმე ღობითიქონი, და ნარულეს ლა-
ზია, ტრაპიზონი, ლომონი, საბისონი, სინობი, კერასუნდი,
კოტორა, ამასტრია, არაკლია და მისცა ნათესავსა თმსა
ალექსის კომნენოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო
მამინ თთთ ნინამე თამარ მეფისა შემოხუცნილი. XVIII სა-
უკუნეში თითქმის ზედმინვენი იმეორებს იმავეს ვახუშ-
ტი პატრიონვილიც: „თამარ... ნარავლინა იმერნი და ნა-
რული კეისარს ტრაპიზონი და მიმდგომნი მისნი, და მის-
ცა ალექსი კომნენოსს, ანდრონიკეს ძესა, რომელი იყო
ნინამე თამარისა“.

თუ გავითვალისწინებთ იმ
გარემოებას, რომ ტრაპიზონის
იმპერიის მომავალი კვირები
სწორედ მცირე აზიიდან იყე-
ნენ ნარმოპობით, მათ ადგი-
ნობრივი მხარდაჭერა გარან-
ტირებული ჰქონდათ. ასეთ ვი-
თარებაში, დევნილ კომნენო-
სებს დაშლილი ბიზანტიის ტე-
რიტორიის გარკვეულ ნაწილ-
ზე დამოუკიდებელი პოლიტი-
კური ერთეულის შესაქმნელად
ადგილობრივ მხარდაჭერასა
და სამეფო ნარმომავლობას
თან ერთად მნიშვნელოვანი
სამხედრო ძალა სჭირდებო-
დათ, რათა ბოლომდე მიეყვა-
ნათ თამარის მიერ დანაცხული
მცირეაზიური ტერიტორიის
დაკაპების პროცესი.

— ვინ იყო დევნილ კომნენოსისა სამხედრო მოკავშირე?

— ქართული და ბიზანტიე-
რი წყაროების მიხედვით, ეს
სამხედრო მოკავშირე სწორედ
საქართველო იყო. ამის შესახებ უტყუარი ცნობა აქვს
ტრაპიზონის იმპერიის ქრონიკის შემქმნელს მიქელ პანა-
რეტოსს, რომელსაც მიზნად ჰქონდა თავის თხზულებაში
იმპერიის ყველა მმართველის ზეობის არსებითი მომენ-
ტები გადმოეცა: „მოიყვა დიდი კომნენოსი, ბატონი
ალექსი, რომელიც წამოსული იყო დამებულ ქალაქ კონ-
სტანტინოპოლიდან, ხოლო გამოლაშქრა კი იბერიიდან,
მისი შამიდის, თამარის ვაჟთაშვილებით და ღვანათი და
22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი...“

ტრაპიზონის იმპერიის შექმნიდან ანუ 1204 წლიდან
კომნენოსთა და ბაგრატიონთა შორის ურთიერთობის
ახალი საფეხური იწყება. ბაგრატიონთა სამეფო სახლს
კომნენოსებთან ან უშუალო კავშირი ჰქონდა, ან აქ არსე-
ბულ პროქტორულ დასს ეყრდნობოდა. ასეთი ძალა ტრა-
პიზონში მისი დაარსების დღიდან არსებობდა და ამ პო-
ლიტიკური ფრთის სიძლიერე პირდაპირ იყო დამოკიდე-
ბული საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებაზე. 1247
წლიდან, საქართველოში ერთიანი ხელისუფლების ორად
გაყოფისა და მონღოლთა თარეშის პირობებში, როგორც
ჩანს, იმ უპირატესობის დაკარგვა იწყება, რომელსაც ბაგ-

რატიონთა სამეფო სახლთან დაახლოებული პოლიტიკუ-
რი ძალები ფლობდნენ. ამ ნიადაგზე 1281 წელს მოხდა
აჯანყება, რომელიც ისტორიამ პაპადოპულუსის აჯან-
ყების სახელით არის ცნობილი. პავლე ინგოროსაც ამის
შესახებ შენიშნავს: „1281 წელს ტრაპიზონის მოხდა გა-
დატროლება, ორგანიზებული ქართული პარტიის მიერ.
მეფე იოანე II, რომელიც სიძე გახდა ბიზანტიელ პალეო-
ლოგთა სამეფო სახლისა, მეფობიდან გადადგენს კიდევ.
შემდეგ კი თუმცა განათავისუფლეს პატრიზონიდან, მაგ-
რამ ტრაპიზონში დარჩენის ნება აღარ მისცეს და გადაყე-
ნებული მეფე გაემგზავრა კონ-
სტანტინოპოლში“.

ჩანს, ამით ისარგებლა და-
ვით VI ნარინმაც (1247-1293)
და ამ ხანებში ილაშქრა ტრაპი-
ზონის სამეფოს ნიწადადგე-
მის ტრაპიზონისთვის ალყაც
კი შემოურტყამს, მაგრამ ვერ
აუღია.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრა-
პიზონის იმპერიის არსებობის
მანძილზე ბაგრატიონთა სამე-
ფო სახლსა და კომნენოსებს
შორის აქტიური ურთიერთო-
ბანი არ შეწყვეტილა. ეს გახლ-
დათ როგორც წინადა პოლი-
ტიკური, ისე პოლიტიკური
ნიშნით გამართლებული სა-
ქორნიო კავშირები.

**— როდის შეწყვიტა არსე-
ბობა ტრაპიზონის იმპერიამ
და რა იყო ამის მიზეზი?**

— ტრაპიზონის იმპერიას
გამუდგებით უხებოდა თვით-
მყოფადობის დაცვა ბიზანტი-
ის აღდგენილი იმპერიისგან,
ვიზიიდან კონსტანტინოპოლი ვერ ეგუებოდა, რომ პერი-
ფერიამ შექმნილი მცირე იმპერია რეაბილიტირებული ბი-
ზანტიის შემადგენლობაში არ აღმოჩნდა. ბიზანტიის იმ-
პერიის მმართველ ანგელოსებთან დაპირისპირებაში
სწორედ საქართველო იყო ტრაპიზონელ კომნენოსთა მო-
კავშირე.

საგულისხმოა, რომ 1453 წლის 29 მაისს ოსმალთა მი-
ერ კონსტანტინოპოლის აღებით, ბიზანტიის ძლევამოსი-
ლი იმპერიის განაგურების შემდეგ, ტრაპიზონის იმპერი-
ას არსებობა არ შეუწყვეტია. თუმცა ისტორიულ პროცე-
სი ძლევამოსილი იმპერიის პერიფერიაზე არსებული სა-
კეისროს გადაჩრეხის არანაირ საშუალებას არ იძლეოდა
— XV საუკუნის II ნახევლისთვის საქართველო დასუსტე-
ბული იყო და მალე დაიშალა კიდევ, ბიზანტიამ თავისი
თავი ამონურა. მზარდი პოტენციის მქონე ოსმალი იმპე-
რიას კი წინ ვერ ალუდებოდა ბაგრატიონთა და კომნენ-
ოსთა სუსტი გაბრძოლება — 1361 წელს თამარ მეფის
დომლიმბატორი და სამხედრო მმართველთა შექმნილმა,
ძირითადად ლაზურ-ჭაბურთა ერთობით დასაზღვრულმა
მცირეაზიურმა საკეისრომ არსებობა შეწყვიტა.



ნესტან ბაგაური

2789



თამაზ ნატროშვილი

ხასმატალი ხევსურის გარდასახვა

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სპორტულ პრესაში ერთობ სენსაციური ცნობა გამოქვეყნდა: ბრაზილიაში, მდინარე ამაზონის სათავეებთან თურმე მიაკვლიეს ყველასთვის უცნობ, პირველყოფილ ტომს, რომელიც თავის ყოფა-ცხოვრებითა და ზნე-ჩვეულებებით ლამის ქვეის ხანას მიეკუთვნებოდა. და აი, არცაღმამა და ჭკუამხიარულმა ჟურნალისტებმა განიზრახეს, რომ ამ ტომის საუკეთესო წარმომადგენლები ერთი დარტყმით, თავლის დაბაზმამებში, გადაესროლათ XX საუკუნეში და ჩვენი მომხილველი პოეტის ყველაზე დიდი საოცრებანი ეჩვენებინათ. ასეთი ფანტასტიკური პროექტი ჩაიფიქრეს და კიდევაც განახორციელეს. რამდენიმე ამაზონელი მთელი ჩამუშობითა (თუ ჩაუცმობით?) და აღჭურვილობით ჩასვეს ვერტმფრენში და გადააფრინეს რიო-დე-ჟანეიროში, პირდაპირ „მარაკანას“ გადაჭედულ სტადიონზე, სადაც ორასი ათასამდე მჭიდვარ გულშემატიკივარი გატაცებით უფურცლად ბრაზილიისა და არცაღმამის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა.

აგვილი წარმოსადგენია, რა დაეჭვებითობდათ ამ უმანკო ამაზონელებს, როდესაც მათ თვალწინ გადაიშალა მართლაც რომ ზღაპრული და აბსოლუტურად გაუგებარი სანახაობა — ორასი ათასი ჭკუადან გადასული ადამიანი თვალს ევრ ამორებდა მწვანე მინდორზე მოჩრენალ ფიგურებს და მათი გამაყრუებელი ყოინა და ღრინაცვლი ცეცხლივით ეკადებოდა იქაურობას. ორასი ათასი კი არა, ამ საცოდავებს თავის გადაყრუებულ ფუნგლებში, ალბათ, ორასი კაციც კი არ ენახათ ერთად.

დაიხაც ენით გამოთქმული ამბავია და ამ ორიგინალური ექსპერიმენტის ავტორი, უაუო, უმაღლეს ჯოდღოს იმხანურებდა მხიარულთა და საზრიანთა კლუბისაგან.

რლაც ამის მსგავსი, გაცლიებით მცირე მასშტაბით, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როცა ვეცნობით ვარუსებზე-ლო გერმანელი ჩინოვნიკის არინოდ ზინერმანის წიგნში („ოკდახუთი წელიწადი კავკასიაში“) მოთხრობილ მრავალ საინტერესო ეპიზოდთაგან, ვგონებ, ყველაზე საინტერესოს, რომელიც მომხდარა 1848 წლის გაზაფხულზე თბილისში და ნახევარი საუკუნის შემდეგ დიდ ლიტერატურაშიც დაბინავებულა.

ზინერმანის გადმოგვცემს, რომ ორმაბათობით, როგორც მუსი, კავკასიის მეფისნაცვლის მიხედვით ვორონოვის სასახლეში მეფელის (ანუ ბაღი) იმართებდა. ავტორის საიტყვით, სავეყნოდ იყო ცნობილი მეფისნაცვლისა და მისი მეუღლის სტუმარმოყვარობა და ხელგამოილობა. ისინი გულითადად ეგებებოდნენ სტუმრებს სას-

ტუმრო დარბაზის შესასვლელთან და მათი წყალობით ირგვლე სუფედა უშუალო ატმოსფერო, ხალისიან და ცოცხალ საუბარს რომ უწყობდა ხელს.

მეფელის ამშვენებდნენ ულამაზესი ქალები და მოხდენილი ვალები (ამ მხრივ თბილისს მარტოოდენ სატახტო ქალაქები თუ გაეფიხრებინათ). მუცელბლებე უკრებდა მშვენიერი ორკესტრი, იყო გულუხვად განწყობილი ბუფეტო და შემდეგ — საუცხოო ვაზამში ცალკე მაგიდებითა და ჩინებული ლეინით. დასასრულ ჩადებოდა ელვარე მანურკა (მეფისნაცვლის მეუღლე წარმოშობით პოლონელი ყოფილა და ყველაზე მეტად ეს ცეკვა ეამებოდა).

მთელი ეს სანახაობა დაუვინყარ შთაბეჭდილებას აბდენდა დამხრებებზე და, ალბათ, გასაკვირი არ იქნება, თუკი ვიტყვი, რომ ესოდენ თვანარმატაციო სურათი უსაზღვროდ გააოცებდა და კიდევაც გააოგნებდა ამ მეფელისზე ბედნიერი შემთხვევის გამოისობით მოხვედრილ ხასმატალ ხევსურს.

როგორც ირკვევა, ერთი რუსი პოლკოვნიკის შუამდგომლობით (გვარი არაა მითითებლი) ვორონოვისსა-სახლეში გამართულ მეფელს, ხევსურეთში განხული მეგზურობის საზღაურად და ერიცხლის მედლით დასა-ჯილდოვლად, მიუწვევიათ ერთი ხასმატალი ხევსური (ავტორი არც მის გვარს გვამცნობს). იგი გამოცხადებულა კავკასიის მეფისნაცვლთან მთელი თავისი ეგზოტიკური საოსვლითა და საჭურვლით. ზისერმანის სიტყვით, ხასმატალმა ხევსურმა თავისი ორიგინალური იერით, რაც არაფერი ჰგავდა სხვა კავკასიელი მთიელისს პაბიტუსს, საყოფიერაო ყურადღება მიიპყრო. ეოდას ახსოვდა ეალსები, მამანური და კომპლემენტები!

ხასმატალ ხევსურს რკინის ფაჯისი პერანგი ეცვა, თავზე მუხარად ეხურა, ხელი ჩაბლუჯული ჰქონდა რკინისავე მრგვალი ფარი და ორღესული მახვილი. ვორონოვისს სასახლეში თავმოყრილი, მალალი საზოგადოების ნაღები შეცბუნებით შეკურებდა ეეროპული ყაიადის მეფელსზე შუა საუკუნეთა წყდიადიდან შემოჭრილ, იარღში ჩამჯდა „ელურ მთიელს“ (ზემოთქმული პარალელი ამაზონელ ამორიგებებთან ვითუ ენოითროს ქართველ მეთხებდა და მურაღმყოფილად იგრძაოს თავი, მაგრამ უნდა მოვიზიოდნოთ, რომ ეს, რასაკვირვლია, ძალზე შორეული პარალელია და მხოლოდ საერთო თვქტნი უზომო გაოცებისა იწვევს ამეგარ დამეზობლებს, ოდესაც სხვა ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, ჩვენს ხასმატალ ხევსურს, უეჭველია, ზემირად ეცოდინებოდა ლექსი ეეფხვისა და მოყმისა, ალბათ, თავისი საზოგადოებელი სტრიქონებითაც მოინრებდა თავს, ზოლო ამაზონელი ამორიგებებისათვის, ვინ იცის, ეცებ დაფი და დადიდფიც კი უცხო და უნახავი ხილი გახლდათ).

თამაშად შეიძლება ითქვას, რომ მეფისნაცვლის სასახლეში განცვიფრებისა და გაოგნების გრადუსი ორმხრივი და ტოლფერად იქნებოდა.

როგორც მოვიხირობოს ზისერმანმა, არნახული სანახაობით თავგურდახვეულ ხევსურს, მიუხედავად ყველაფერისა, არ დაუყოვნებია უმინება, რომ ბოლად ამ ბრწყინებულბას ჩრდელს აყენებდა მისთვის ყოფილად გაეგებარი ურცხვებია ამ ქალედისა, გამომუშებელი მკლავებითა და მხრებით, მკერდმოიღლიდა, ასე ლალად და თავისუფ-



ლად რომ მიდი-მოდიოდნენ გამონაკებელ მამაკაცთა შორის და ცეცხლისა მავრადაც ეხეტებოდნენ. ხანმატელი ხევსური ფრთად გაუკვირვებია იმას, რომ „სარდარმა“ (ე.ი. ვორნცოვმა) ეს მაცდური არსებანი შემოეშა თავის სახალღში, სადაც მთელს კავკასიაში სახელგანთქმული გენერლები და ოფიცრები იყვნენ მოწყვლადი. ზისერმანს მოთმინებები აუხსნია ხანმატელისათვის (გარუსებულმა გერმანელმა საუცხოო ქართული იცოდა), რომ ეს მოშიშვლებულ-მოტიტვლებული ბანოვანები, ყველანი ერთობლივ, ამ დარბაისზე პირთა მეუღლენი და ასულნი ბრძანდებოდნენ, რომ მთელი თბილისის ქალთა მარაჟი-დან ყველაზე რჩეული, განათლებული და ღირსეული იყვნენ, რომ აქ თვით მეფისნაცვლის მეუღლემც იმყოფებოდა და ისიც ასევე გააძინებოდა. ზისერმანი დასძენს, ჩემმა ახსნა-განმარტებამ კავკასიის მთების შეილი ჩიხში მოაშენებია, ყოველივე ეს მისი გაგების უნარს აღემატებოდა.

რას ნარმოადგენდა ეს ჩვენი ხანმატელი ხევსური, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ თავს ამოჰყოფდა მსოფლიო მწერლობის საგანძურში, ლვე ტოლსტოის უბადლო მოთხრობის ფურცლებზე, ოღონდ ელფერს შეუცვლიდნენ, ჯაჭვის პერანგს გახადიდნენ და კავკასიურ ჩიხა-ახალუს ჩააცვამდნენ, თავს გააძინებდნენ და, რაც მთავარია, ნარმოადგობას, რჯულსა და სახელს შეუცვლიდნენ. ერთი სიტყვით, სულია შერჩებოდა თავისი, ის მეფარე სული, რომელმაც კეთილსინდისიერად, ღირსებულად, როგორც მთის შეილს ეკადრებოდა, გაანდგინა მღვდლის საშახურის რუსტეფნივის ჩინოვნიკებისათვის და რომელიც ისევ ედგა სხეულში, როცა ვორნცოვის სასახლეში გამართულ მეჯლისზე ნარბუხორლად, მორიდებულად შეძლო, რომ თავისი გულახდილი, მკაცრი მსჯავრი გამოეთქვა მისთვის უცხო და მოუღებელი სახანაბლის მისამართით.

ლვე ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ მე-10 თავში კეთილად:

„მეორე დღეს ორშაბათი იყო, ჩვეულებრივი საღამო ვორნცოვების ოჯახში. სინათლით გაჩახჩახებულ დიდ დარბაზში ზამთრის ბაღში მიმალული მუსიკა უკრავდა. ახალგაზრდები და არცთუ ისე ყმაწვილი ქალები, რომელთაც ისეთი ტანსაცმელი ემოსათ, ყელი, ხელები და თითქმის მკაფივად მოშიშვლებოდით, მკვეთრი ფერის მუნდირიან მამაკაცებს ჩაკონტეხული ტრიალებდნენ... „სარდარის“ მეუღლე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ისიც ასევე

ნახევრად გამოშვლებული, სტუმრებს შორის დადიოდა, გულთბილად იღიმებოდა და თარჯიმნის შემეგობით რამდენიმე აღერისანი სიტყვა უთხრა ჰაჯი-მურატს, რომელიც, როგორც გუშინ თეატრში, ისევე გულგრილად ათავალიერებდა სტუმრებს. დისახლისის შემდეგ ჰაჯი-მურატთან მივიდნენ სხვა გატიტვლებული ქალბერი და ყველანი ურცხვად იდგნენ მის წინ, იღმებოდნენ და ეკითხებოდნენ ერთსა და იგივეს: როგორ მოსწონდა ის, რასაც ხედავდა? თვითონ ვორნცოვიც, ოქროს ეპოლტები, აქსელბანტი და ლენტი რომ ეკეთა და ყელზე თეთრი ვეპარი ეკიდა, მივიდა ჰაჯი-მურატთან და ჰკითხა იგივე. ალბათ ღრმად იყო დაარწმუნებული, რომ ჰაჯი-მურატს არ შეიძლება არ მოსწონებოდა ის, რასაც ხედავდა. ჰაჯი-მურატმა ვორნცოვისაც იგივე უპასუხა, რაც სხვებს — ჩვენთან ასეთი რამ არ იცინაო. მას არ უთქვამს, კარგი იყო თუ ცუდი, რომ მათთან ასეთი რამ არ იცოდნენ“ (თარგმანა ელიზბარ უბილაძე).



ე. ლანსკერე „ჰაჯი-მურატის“ ილუსტრაცია

ლვე ტოლსტოი, როგორც თავად აცხადებს, თავის ნარმოებშიც ისტორიულ თემაზე რომ წერდა, აუნდროლმანეს ნეროილმანეშიც კი ცდილობდა სინამდვილის ერთგული ყოფილიყო, ერთი ნაბიჯითაც არ გადაეხეია ფაქტებიდან და ყველგან უშიშვნილად დეტალებშიც ისტორიულ მონაცემებს დაყრდნობოდა.

თავის კერძო ნერილი ნუხის მახარის ყოფილი უფროსის, პოლკოვნიკ იოსებ ყორღანოვის ქვრივის — ანა აბესალომონა ყორღანოვას სახელზე (1902 წ.), ვის სახელშიც ცხოვრობდა ჰაჯი-მურატი 1852 წლის განაუხლებელ მთებში გაქცევამდე, მისი დაღუპვით რომ დაამთავრდა, ლვე ტოლსტოი ასეთ შეკითხვებს სვამდა: ცოტათი მაინც იცოდა თუ არა რუსული ჰაჯი-მურატმა? შესაშინვეად კოჭლობდა? სახლს, სადაც თქვენ ზემო სართული გაკავიათ, მას კი — ქვემო სართული, ჰქონდა თუ არა ბაღი? მკაცრად იცავდა თუ არა თავისი რჯულის ნეტებს — დღემს ხუთუხის ლოცვას და სხვ.? ვინ იყო ცხენი, რომლითაც ნუხიდან გაიქცა?

აი, ეს შეკითხვები დაუსვა მწერალმა თავის ადრესატს და თან ბოდიშს უხდოდა, მომიტყვეუთ, ამგვარი ნეროილმანეთი რომ გაწუხებთო.

ანა აბესალომონას პასუხები არაა ცნობილი, მაგრამ ისინი შეიძლება ამოვიკითხოთ „ჰაჯი-მურატის“ ფურცლებზე.

ასე მაგალითად, ჰაჯი-მურატი უსმინეს სიმღერას და რუსულად ნარმოთქვამს: ხაროშ პესნია, უშნი პესნია



(კარგი სიმღერაა, ჭკვიანი სიმღერაა); მოთხრობაში მოხსენიებულია ყოლანოვის ბაღი. ნათქვამია ისიც, რომ შაჰი-მურატი დაწესებული ლოცვა არ ავიწყლოვდა და ისიც, რომ ოდნავ კოჭლოდა.

მამასადავმ, უნდა ვიფიქროო, რომ ხსენებულ ქალბატონს ამომრუავეი პასუხები გაუცია მწერლისათვის.

ლევ ტოლსტოის შემოქმედების ფრენი მკვლევარი პიერ ბულანგიე ნახვასით აღნიშნავს, რომ რუსი მწერალი უკიდურეს სიზუსტეს იჩენდა, მხოლოდ დოკუმენტებს ან-და თვითმხილველთა უტყუარ მინიმობას ეყრდნობოდა (სათანადო მავალითებიც მოპოვდა).

მისივე სიტყვით, ის, რაც სხადგა ლევ ტოლსტოის მხატვრულ ნაწარმოებში — გამოწავონი, ფიქშენ — „შაჰი-მურატი“ ისეთ მინიმუმამდეა დაყვანილი, რომ თითქმის შეიძლება ითქვას, ამ მოთხრობაში არაფერია გამაფრთხილი. ზოგჯერ ისიც კი შეიძლება იფიქრო, რომ ლევ ტოლსტოი სამეცნიერო გამოკვლევას წერდა და საკმაოდ იშვიათია, რომელიმე მეცნიერი ასე პედაგოგიურად მისდგომოდ ათვის გამოკვლევას, როგორც ლევ ტოლსტოი — ისტორიულ მოთხრობას.

ოლოდ ზე მეჯითი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და სკრუპულოზურ დაკვირვებათა ნაყოფი გაბრწყინებულია დიდოსტატი მხატვრის ფუნჯით და გაცილებით მაფრად აღნიშნუდა მკითხველის სულში, ვიდრე ნებისმიერი, თუნდაც მაღალ დონეზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი.

კორონციოვის სასახლეში გამართული მეჯლისის აღწერილობა ავტორის შეთხზული არ უნდა იყოს, უფრო თვითმხილველის ინფორმაციას მოგვაცხადებს. მაგრამ ლევ ტოლსტოი ამ მეჯლისის თვითმხილველი ვერ იქნებოდა. მართალია, იგი თბილისში იმყოფებოდა სწორედ იმხანად, 1851 წლის დამლევს, როდესაც კორონციოვის სასახლეში გამართულ მეჯლისზე შეიძლება გამოჩინილიყო ასევე თბილისში მყოფი შაჰი-მურატი, რუსულმწიფის მხარეზე გადასული სახელგანთი ნაიბი შამილსა, მაგრამ უდასამი წლის ახალგაზრდას, რომელიც საარტილერიო ოფიცრის ჩინის მისაღებად გამოცდას აბარებდა თბილისში, კორონციოვის მეჯლისზე ვინ დაბატებებდა? იქ არავინ იცნობდა და არავინ ელოდა. ერთადერთი, ვისაც გულით გაუხარდებოდა მისი ვაცინობა, ის კაცი იყო, რომელიც, ჩვეულებისამებრ, გულგრილად ათვალიერებდა გამოძრანჭულ საზოგადოებას და, სამხედრო წიფთან ერთად, ნიანსარმჭვრეტის ნიჭიც რომ ებოძებინა მისთვის ალამს, ამოიკნობდა თავისი ნობოქარი ცხოვრების ყველზე დიდებულსა და გულისმხერ შემატანის.

ზემოთ დაწონებული ტექსტის მსგავსება ზისერმანის ინფორმაციასთან უბრალო დაბინივევა არ უნდა იყოს, ვინადან ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოის პირად ბიბლიოთეკაში შემონახულია არზოდ ზისერმანის ზეზისხეებულე ნიწვის ეგზემპლარი და ისიც ცნობილია, რომ 1879 წელს გაიცემული ეს ნიწვი ავტორის ნაწუქარია, თავისი ავტორგადიფიქრით, საყვარელი მწერლისთვის და თუკი იმასაც გაიხსენებთ, რომ „შაჰი-მურატი“, როგორც აღნიშნავენ, უცილობლად დაეკლებულია ზისერმანის ნიწვიში ამოკითხვისგან (კერძოდ — შაჰი-მურატის გაცეცეა ნუხიდან და მისი უკანასკნელი ბრძოლა), უნდა დავასკვნათ,

რომ კორონციოვის სასახლეში გამართული მეჯლისის აღწერილობაც ამგვარ ნახსენობთა რიგს მიეკუთვნება.

მაგრამ ლევ ტოლსტოი ხაზმატელი ხევეურის კრიტიკულ შეხმენებზე ურცხვად მომომვლულე-მოტიტებულე ქალბატონის მისამართით არ უნდადებს შაჰი-მურატს. ამგვარი გამომდომი კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში, რასაკვირველია, არ შეეხებადებოდა მოთხრობაში მომცულე შაჰი-მურატის პორტრეტს. ყოფილი ნაიბი შამილსა, რომელმაც იმამს ზურგი აქცია და მტერს დაუკავშირდა, რა თქმა უნდა, ყოველ სიტყვას სწონიდა და რვეულ აღმოსავლურ დიპლომატიას ემაცებოდა სამშობლოდან ლტოლნილი და ყოფილი მტრის ბანაკში თავმეფარებული კაცის სიფრთხილე.

ერთი შეხედვით, ხაზმატელი ხევეური ალთას არი და შაჰი-მურატი — ბალთას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

ვანა თვალნათლივ ცხადი არაა, რომ ლევ ტოლსტოი კორონციოვის სასახლეში გამართულ მეჯლისს ხედდეს შაჰი-მურატის თვალით? თითქმისდა თვით შაჰი-მურატი გვიამბობდეს თავის განცდილსა და ნაფიქრალს. რუსი მწერლისათვის ეს არ იქნებოდა უცხო სანახაობა არც ოცდასამი წლის ასაკში და არც სამოცდაათისამი. უცხო სანახაობა იყო შაჰი-მურატისათვის, რომელიც განსხვავებით ხაზმატელი ხევეურისგან, თავს იკავებს და მასმომლებს არ სძრახავს, მაგრამ მწერლის კალმით დახატული სურათი აქკარად დალადებს შაჰი-მურატის აღფრთოებას: ყვლე-ხელ-მკერდომომვლული ქალბი მამაკაცებს რომ შაკიონებან და თავდავიწყებულ ცეკვას მისცემიან; და თვით კორონციოვის მუღლაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ასევე გულგრადგამომვლუბედი და სხვა გატიტლებული ქალბიც ურცხვად დგებიან შაჰი-მურატის წინაშე და დაკინებით ეკიხებიან, მოსწონდა თუ არა ის, რასაც ხედავდა.


ეს ხომ შაჰი-მურატის ძალით აღებჭდილი დეტალია. კავკასიის მეთვის თამაი შეილი აბეზარ კითხვებს აუღლევებლად პასუხობს: ჩვენიან ასეთი რამ არ იცნავს.

უდავოა, რომ გულით ისიც იზიარებს ხაზმატელი ხევეურის გულწრფელ გრძნობებს.

და არც არის გასაკვირი, რომ ორივე უნდა შეეძრა მათთვის უსიამო სანახაობას. კორონციოვის სასახლეში გამართულ მეჯლისზე იური საყვარე შექრება ერთმანეთის დასაკულური ცივილიზაცია თავისი სიკეთებითა თუ უკეთურებით და ცივილიზაციის კერებს მოწყვეტილი შთა თავისი ზნემაღალი პრინციპებითა და სულსიკეთებით.

როცა კეთილშობილ კორონციოვის სასახლეში გამართული მეჯლისის აღწერილობა „შაჰი-მურატში“, გვეჩვენება (და აღბათ ძალზე ახლოს უჭირავს ვიყით ქმშიარტიტებათან), რომ ლევ ტოლსტოი უფრად მზარეს ეცნობოდა და მისი აღმოფთება ერწყმის ხაზმატელი ხევეურის მიერ ხმა-მაღლა გამოთქმულსა და შაჰი-მურატის უთქმელ აღმფრთხილებას.

ამგვარი პოზიკია გამოწავლისი არ ვახლავთ და ბრწყინვალე მოთხრობაში, სადაც ავტორი პროლოგსა და ეპილოგს ბოტბას ანხამს სასიკვდილოდ განწირული ბალების შემყოვარ წინააღმდეგობასა და შეუწყვეტელ ბრძოლას თავისუფლებისათვის.



გიორგი გოგელაშვილი

სივართლისათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებუ-
ლი მდგომარეობა?

— როცა ხედავ, რომ მოყვასს უჭირს და ვერ ახერხებ
შეგლას.

— სად ისურვებდი ცხოვრებას?

— სადაც ვცხოვრობ; არასად სხვაგან. ვერც კი წარმო-
მიადგენია, მე ვყოფილიყავი სხვა ეროვნების, სხვა ქვეყნის
შვილი; სხვა გვარისა და სხვა სახელის მქონე.

— რა არის უმალღესი ბედნიერება?

— მიხილ ქურდიანს შვილიშვილი რომ შეეძინა, მაშინ
თქვა, ახლა ყოვლადი, ცხოვრების მიზანი შვილი კი არა,
შვილიშვილი ყოფილაო; მაგრამ შვილი არის საშუალება
ამ მიზნის მისაღწევად... ბედნიერება ალბათ მიღწეული
მიზანია: არსებობს პატარა გიორგი გოგელაშვილი.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟე-
ბი?

— შუმოვგომის აზნაურები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— პიტინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქანის
ერისთავები და შრაველი სხვა. ცხადია, დავით აღმაშენ-
ებელი, თამარი კონკურსგარეშე...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლადო გუდიაშვილი. მაოცებს მისი ფანტაზია, დი-
დოსტატობაზე აღარას ვამბობ.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ქართველი ხალხი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამა-
კაცში?

— მადლიერების გრძნობას. სხვისი წარმატებით გა-
მონჯეული სიხარულის გამონატვის უნარს; თანადგომისა
და ერთგულების ნიჭს...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალ-
ში?

— მადლიერების გრძნობას. სხვისი წარმატებით გა-
მონჯეული სიხარულის გამონატვის უნარს; ცხადია, სინა-
ზელსა და კლდეშაოსილიებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფ-
რო მთავარი?

— შეცდომის აღიარებისა და მიმტვევლობის უნარი.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— გარდა პროფესიული საქმიანობისა, დურგლობა.
ერთმა ჩემმა ახლობელმა ჩემი ნადურგლარი რომ ნახა,
მითხრა, შენ მჭონი ვხასა ხარ აცდენილიო...

— თქვენი ნაცნობი რომელი ადამიანი გინდო-
დათ ყოფილიყავით?

— იაკობ გოგებაშ-
ვილის ცხოვრების წე-
სი, დამოკიდებულება
ქვეყნისადმი, ერისად-
მი, დედაენისადმი;
პრინციპულობა და შე-
უდრებლობა მაგალით-
ით უნდა იყოს ყველას-
თვის. იდეალთან მიზ-
ნობების სურვილიც
ალბათ ყველას უნდა
ჰქონდეს; ცხადია, ეს
არ ნიშნავს, რომ გოგე-
ბაშვილობას ენატრობ;
არა, მისი ევარისკაცო-
ბა მსურს...



— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება...

— მე მგონი, პირდაპირობა. ზოგჯერ ისეთ შემთხვევა-
შიც მიიქცამს, რასაც ვფიქრობდი, მერე მიფიქრია, არ
თქმა ხომ არ ჯობდა-მეთქი. თუმცა მეორე ისეთვე შემ-
თხვევაში ისევ ისე ვიქცევი. როგორც მეუღლეს მეტყვის
სილოც, შენი გამოსწორება არ იქნებაო...

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— მეგობრობას.

— თქვენი ხასიათის მთავარი ნაკლი?

— შირიად არ გზომავ ასევე პირდაპირ ვქრო.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ზემოთაც ვთქვი: ბედნიერება მიღწეული მიზანი
მგონია...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედუ-
რება?

— მეგობრის ლექსს გავისხნებ:

— ინგურის პირს ქვიანს, არავგვის პირს ტყიანს,

სუკეკლაფერს, რასაც საქართველო ჰქვია;

— ლმერთო, ლმერთო, გული გასკდომამდე ფეფქავს,

— ნუ მომასწროს ეთვით, საქართველო ვრქვა".

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უკეთესი, ვიდრე ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მწვანე. თუ ვერცხეზა საუბარი — შუმოვგომის ფე-
რები გომობროზე.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე ძალიან გიყვართ?

— ია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— რაც ამ პანკეტებს ვკითხულობ, თუ სწორად მახ-
სოვს, ქთაში არავის დაუსახელებია, არადა ცაცია არ მინა-
ხავს, ქთაში იჯავებოდას... არადა, ქთაში საყვარელია
— ნინოლაც და ნინოლაცზე მზრუნველი დედაც...

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— დავით კლიაშვილი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და ვალაკტიონი"... სია-
მოვნებით გაგავრძელებდი: ანა და სხვა...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალიები?

— თორანთ ქრონი, პორმზისა, სანათა და სხვა...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?



თათია ჯგუშია

ომბუდსმენი

(პატრ ჯამახიშვილის ერთი ლექსის გაყო)

— იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვა...
— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— თამარი, ქეთევანი და სხვა...
— საყვარელი სახელები?
— გიორგი, ნინო, თამარი, თორნიკე, ვარე, ირინე და სხვა.
— რას ვერ იტანი ყველაზე მეტად?
— ღალატს, უმადლებს.
— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?
— სერგო ორჯანიკიძე...
— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი შეტანა ალტაეცებისა?
— უპირველესად, დიდგორის ბრძოლა (ამ პასუხის შეკითხვაში სიტყვა „მეტ-ნაკლები“ ზედმეტი მგონია).
— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმადლეს შეფასებას აძლევთ?

— ენობრივი რეფორმა, რომელიც თავის დროზე გაატარა შოთა რუსთაველმა და მერე XIX საუკუნის 60-იან წლებში გატარებული ენობრივი რეფორმა.
— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ხატვის, სიმღერის... რა ვიცი, იმდენ რამეში განვიციდი უნიჭობას, რომელი ერთი ვინატრო...
— როგორ გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?

— აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ თქვა თავისი სიცოცხლის ბოლო დღეებში: სიკვდილი არ არის ძელი, კვდომის პროცესია საზიზღარო... არ მინდა საკუთარი კვდომის პროცესს ვუყურო; არც ის მინდა, ძირისაფლას დაეუბნოთ ყოფა.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— გინახავთ გივი, რომელსაც ეთქვას, გივი ვარო?... ალბათ, განონასწორებულა.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწვანებლობას იმსახურებენ?

— ნებისმიერი უნებელი შეცდენა, გარდა თანმიმდევრული ღალატისა (ონისეს არ სურდა თანმიმდევრული, მაგრამ არ შეინყვალეს და, ალბათ, სწორადაც მოიქცნენ)...
— თქვენი დივიზი?

— სიმართლისათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

— თუკი ოდესმე შეხვედბოდით ლმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ექება?

— იყავი მშვიდი და, იყვრია გაბრწყინებულია.

„ერთი უბრალო ქართველი გოგო თავიანთ გვართი“, ემაფრტას რომ ყველაზე დამსახურებულ კვარცხლბეკად მიიჩნევ, სისხლის ნასკომამდე დაჭრილ ფრწილებს და თმებს უტოლებდი ორღანად „მეგობარს“. ქალაქი კი ბოროტების ნაცრისფერი ფაფაში ტიტტივებს. გამაორღევე ლაბაშეპარული ზაიების ტყვეს და ერთი ამოსუნთქვა უნდა იყოს ორ სიტყვას: „ომია, ფანა!“

„პაველები თვალებს ბირს ან ხრიდენენ, თუმცე ვერ ხედავენენ“. მაგრამ ტერფებით, ხელისგულებით, გამაფრთხილო ყნოსვით მაინც მიხედები იმას, რისი ვერდნახებისთვისაც ფანჯიანი საზარტულით გადაგისურეს გუგებთ, ლიბნები. იგრძნობ, რომ ყოველი ფეხის დადგმა მინა ნოყიერი ნიადაგი კი არა, ცემენტის მტვერსა და სილაში საძირკლით სისხლად, რომლითაც მძლე ერთი დაეღალამას ააგებენ, ძვლებს ახიროკლით, ჩამქრალი თვალის მუქურით და მის დაერქმევა ეპოქა.

ხილთ ქალაქში სიმშვიდე, მოთვინირებულა, დაოკებულა. სირუმე ისეთი, მკედრებით სასვე ვაგონებში რომაა, უკაცრიელ მინდორზე შეფენილი თხრილ-ფიბისკენ რომ მიახრინებებს ზურგში ნატყვარი გავამბეს. ჩაუვლის რუხი ემელონი ქალაქს და უმნიშვნელო ჩქამსაც გააქვავებს, დაასანარმებს. „სიტყვას რომ ქაში ჩაგაგდებინებს და ელვარ ამოგატყს“.

...და ყელამდე წვედა ქალაქს ბოლმანარევი, სქელი ფაფა. ერთად ტრტტანებენ და ირწვიან, თითქოს სიკვდილის წინა ცეკვა იყოს და რალაც მინჯიანი რიტმით უთანხმებენ ერთმანეთს სხუელის მოძრაობებს. სორცე კი ქალაქის მიზიგარი საათის ჩამოკრანავით ელის, რომ ისეც გამოარღვე დაბეჭედილი ხანობის ტყვეს და აღმოსავლეთით გასაძახებ: „ომია, ფანა“. მერე ისეც მიწებში ფსკრზე, ნანგრევებში, ლუგას მიადებ, როგორც მოხუცი მამის დაუყოლი ხელებს, ქვეშაგებად ალაგია წარსულიდან გამოდევნებული კადრები: შვილიდან ჩაკეტლი კართან რომ წრიალდები თავსმამია, სუთქეხავალით რომ იაკეუბი სურვილებს, უჭირისუფლო მკვდრობაზე რომ ფრთხილად და გადამწყვიტე, თვითონ ჩანვე შენივე ხელებით ამოჩორწილ საფელები, ქათქათა დოღბანბის კაბით და ყვიფილი ძალე-ყურწენები. „აუე წიფელმაც არ ივარჯა შენთვის საფეირად“.

გაუტყვერობისგან ფართოდ დახებული დაგრწება თვალები, როგორც მამინ, ხუთი წლისამ პირველად რომ გადააკეთებ გზა და მხოლოდ თმების წრიალით არწყვი მიმართულებებს.

„ვერ ვისწავლავ ადარ მტკიოდეს“ — ალბათ სარწველა ბალახივით უნდა ამოვილოჯო გრწმობებს და ყოველი წერვის, კამლარის დასანყისნი ნიშნულები დაკიდა: „ატროფია“.

„იწებ საშყარო მხოლოდ ჩვენი სწმარო არის და მამინ, როცა ჩვენ ნამდვილად გავიღვივებთ, აღარ დახვდება“. — როგორ მინდა, ვიცოდაც, ნამდვილად სიზმარია საშყარო თუ ახლავადიგებულების ნუხით და სცედა? იწებ სულაც ჩვენ ვართ სიზმრის პატარ-პატარა ნაკუნები, ან ხანმოკლე სიზმრები, რომელსაც საშყარო ხედავს მარიალილი ზამთრის დღეებში. არკინი იცის და მასხანდება: „მე სიკვდილის შემდეგ სარკეში ჩახებთ აღმარადლის გამობდავს და ისეთი მეკადრის ვარ, რომ ჩემს სიკვდილს ვერაფერი ეღვარ ამასტურებს“ /ღვარუე ფარობხანად/.

სამყაროში, სადაც, თუ გულწრფელ დიმილს ეძებ, თუ ნაყალბეზე და შეკვეთილზე უარს ამბობ, თუ ჩამაგებულ თვლებს საშაქსაქალი ნიღბით არ იფარავ, უყოფოდ მემარცხებუნ ხარ. დაუპრეფავთი კი მარტო ეკვლებს და ორკიბილებს კი არა, მკებნარეზაც უნდა ელოდებ.

შენ კი ატოლებ ორღანად „მეგობარს“ თითებებს, თმებს, მზრებს, მუხლის-თავებს და მას, ემაფრტასკენ თამამად მიმავალს, ვდგრტებს მინჯენ.

„ხივედ ვროხედ დანივი, ჩემი სხეულივც დანივი, ჩემი სიკვდილითაც დანივი, ფანა!... რადგან ქვეყანას მე ვფერულადაც აღარ ვჭირდები“.

ქალაქი კი ბოროტების ნაცრისფერი ფაფაში ტიტტივებს, რომელშიც შენ ცხოვრობ და ცეცხლი არსადარის ნაკვთულებია.



დაიბადა 1964 წლის 20 თებერვალს, თბილისში. 1981 წელს დაამთავრა თბილისის პირველი ქესპერიზებული სკოლა. 1982 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის განყოფილებაზე. იყო გიორგი წერეთლის სახელობის სტიპენდიანტი. 1994 წელს დაიწვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სომხური წყაროები ალა-შამშად-ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს თბილისის აონრებისთან დაკავშირებით“. 2004 წელამდე მუშაობდა არმენოლოგიის კათედრასზე მასწავლებლად. კითხულობდა ლექციებს თანამედროვე სომხურ ენასა და სომხური ლიტერატურის ისტორიაში. პირველი თარგმანები (თანამედროვე სომხი ავტორები) დაიბეჭდა ჟურნალ „დისკანტი“ (1999, №11). ევგორჯე ემინის ლექსების თარგმანი (ნაწილი) გამოქვეყნდა ჟურნალ „აღმოსავლეთის“ მე-7 ნომერში. 2004 წელს ოჯახთან ერთად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს.

რუსულად ქუბარებისა

სახს

სატელეფონო ჯისურთან მდგარი ერთსა და იმავე სატელეფონო ნომერს განსუყვეტლად ვერვფ. უცნაურია, კვლავ არავინ მასუბობს. თბილისური ნომრების შემდეგ აქაური ზედმეტად გრძელი და მომქანცველი მერვინება, შედეგი - არავითარი. „ნეტავ, სად უნდა ნასულოყო ამდენი ხანი 90 წელს შიტგანებული მოხუცი“ - მიკერის და კვლად თავიდან იწყებ ნომრის აკრეფას. საშინელი გრუსუნით მოქრის მატარებელი და ირველიე ყველაფერს აყრუებს. წარმოდგენელია ამ პირობებში არსებობა. სახელიც რომ მარქუნ, არასდროს დაეთანხმდები აქ ცხოვრებას.

უბედოდ ვკიდებ ყურმილს და ველი, როდის გაივლის მტერთოს მორიგი მატარებელი.

ეს ბრატოვინია...
 ირველიე ძირითადად რუსული საუბარი ისმის. ერთმანეთის ენაცვლება ინგლისურ-რუსული წარწერები. ძალიან ინვიტად გადაწყვედებით ქართულ აბრასაც. აქ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს გადაყურებით. ძნელია აქ თავი ამერიკაში იგრძნო. ეს, ალბათ, არცაა ამერიკა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ამერიკის მიწაზე გადმოხალცვლა. ახალგაზრდა თაობა, თუმცა კი ინარჩუნებს მშობლიურ ენას, მაგრამ თავს ნამდვილ ამერიკელად მიიჩნევს. თუკი ამერიკელების გარეშეცხვი, ვამერიკელებულმა „ჩვენიანმა“ დახმარების ხელი გამოგონიდათ და „ნიწაწერების ენით“ გავცასუბრათ, ეს მისი დიდი პიროვნული ღონისების მაჩვენებელია და მათ მიმართ მადლიერების გრძობა მითელი ცხოვრება გავცვლება. ბრატოვის ხშირად აკეთიხვენ ნიუ-იორკის სხვადასხვა ადგილის მცხოვრებლებს. „ჩვენებს“ აქ პროდუქტები „რუსული“, ჩვენი გემოვნებისდა მიხედვით შერჩეული და შედარებით იაფი. მალაზიები „რუსულენოვანია“, არტუტ იმეითად შეხვდებით ასევე თურქებს, ჩინელებს, ესპანელებს. „ჩვენებს“ ძალიან უკვირი, რომ ამ კარაჩენიანებმა „რუსული ვერაფრით ვერ ისწავლეს, თუმც კი დრო, ამდენი ხანი ბრატოვინაზე ვაჭრობენ“. აქა-აქ გადააწყვედით ასეთ მეტად საინტერესო განცხადებასაც: „WELCOME, WE SPEAK ENGLISH“. მაღლობა ღმერთს, თორემ „ჩვენებს“ აქ თავს სრულ ბატონ-ბატონად გარწობენ და რამდენიმე მათთვის საჭირო სიტყვის (hallo, sorry, good morning, food stamps, medical, medicare) გარდა, ინგლისურის ცოდნით თავს დიდად არ იცხებლებენ.

არ დამაივინყდებია, როგორ შევიარე ამერიკაში ბალაჩა-მოსულმა აბრატოვნის ერთ მალაზიაში, დისნეის შესანიშნავი მულტფილმების ინგლისურ ენაზე შექმნის იმედით. ჩემი შეკითხვა, როგორც მივხვდი, მტვად გულურყველოდ გაისმა. ახალგაზრდა გამყიდველი (უკაცრავად, saleman!) ჯერ „შობოლოურად“ გაიჩხორა, უმყავიფლო შზერა მომამყრო და ჩემთვის კარგად ნაცნობი ინტონაცით მკითხა: „აქ საიდან უნდა იყოს დისნეის ინგლისური ფილმიც, ეს ხომ რუსული ქუჩაა“. ინგლისური არგუმენტები და „ზრდილი ტონი“ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ მალაზიის კარი საშუალოდ გამოიხვება.



უკვე 5 საათი ხვდება. ყურმილს კვლავ არავინ იღებს. სააგენტოში ვრეკავ.

— ნომერი სწორია, ალბათ, ბაღშია, — მშვიდად მასუბობს კოორდინატორი და ყურმილს დებს.

ვერაფერი გამოვიდა, რა უნდა ბაღში 90 წლის ადამიანი. იქნებ, რაღაც კარგად ვერ გავიგონე, მაგრამ ვარკვევით მითხრა: „სადიც“-ო. ჯანდაბას, რაც არის, ესაა...

ოკეანის სანაპიროსკენ ვიღებ გესს. ვცდილობ, მატარებლის გამაგრებულ ხმაურს გავცეცე. ფიქრები აქეთ-იქით გამოიბნის, ვლღავ. ზღად პირველად მივდივარ სამსახურში და აქამდე ჩემს კლიენტს ვერსად მივავტენი.

სანაპიროზე უბრალოდ. ქვიმა ყვითულია. თოლოები დაბაჯბაჯრად და გრძელ ნისკარტებს აქეთ-იქით ატრიალებენ „სასუსნავის“ ამ მორიგი მსხვერპლის მოლოდინში.

საბანაო სეზონი ჯერ არ დანყვებულა და ქვიმა სუფთაა. კედებს ხიბდი და ქვიშიმ ვდგები. ქვიმა ნიტია, გრილი, სასიამოვნო.

იქით, ძალიან შორს, თეთრი გვიმ სერავს პორიზონტს. ნელ-ნელა მივდივარ ნაპირისკენ. ოკეანე ტუჩებს ილოკავს. სველ ქვიშიზე ვდგები, ქვიმა ახლა უკვე არასტუმართმოყვარედ ცივი და არასასიამოვნო მერვინება. მოშორებით ვდგები. ისეთი გრძობა მუცულდება, თითქოს სრულიად მარტო ვარ ამქვეყნად. მაგრამ ეს სიმარტოვე არ მამინებს. ვნები, თუმც ვიცი, რომ ქვიშის მარცვლებს მერე ვერაფრით გამოვიცილებ. სულ ერთია, ახლა ვცდლობ, არაფერზე ვიფიქრო, უბრალოდ ამ სიმარტოვას და ამ უკი-



დევანო სივრცის ნაწილად ვიქცე, გამოვთქმო ჩემი ტვინის ყველა უჯრედი. თითქოს გამოშდის. ტალღების ხმა საიდანხალად შორიდან მესმის, ოკეანის ტალღაზე ქალღალდის ნავერით ვინცმე რწყავს.

ხეაღინდელი დღის მოლოდინი ხანაც არ მაძლევს მოსვენებას. მოზობის ვიღებ და კვლავ ვინცმე ღლიაკებს აკრფავს. ორი ზარი, სამი და გაოცნებულ ვეფხვი. ვიღაცამ ყურმილი აიღო.

— გისმენთ, — მესმის მოხუცი ქალის ხმა. — გამარჯობა! თქვენ ხანა ხართ? — თითქმის ვყვირი მე თოლიერი ნაშიერად წვეტენ თავების აქეთ-იქით ტრიოალს და ცნობისმოყვარედ შემომძეკერიან.

— გამარჯობაო! — მესმის მოხუცის კეთილგანწყობილი ხმა.

— რა ხანია, გირეკავთ და ვერ დაგიკავშირდით, მე თქვენს ახალ პომპტენდინტი ვარ.

— მე „სადიუმი“ ვიყავი და ახლახან მოვედი, რა გვითა და საიდან ხართ?

— საქართველოდან.

დუმილი და უცებ გამართული ქართული მესმის: — გამარჯობა, მეგობარო! — რასაც ქართული „სულიკო“ მოაკყვება. ხმა კრიალა, ინტონაცია ზუსტი.

მე „მიწისასივით“ არ ვეცევი მის სიმღერას. არ მეტყობება. ვუსმენ რაღაც სრულიად გაუგებარი ემოციით შეპყრობილი, დაწმენი, გაღიმებული და არც კი ვიცი, რა ვიქცე.

უცნაური რამაა ემოცია, გაეჯერებული სხვადასხვა მუსიკით, ხანდახან თითქმისდა ურთიერთგამომრიცხავი იყო. ეს ნეტავ შეიძლება იყოს ანალოზის გაკეთება.

ხანა კი აგრძელებს სიმღერას და ვხედები, რომ ისიც იღმებდა.

მე ვერ არ ვიცი, როგორ გამოიყურება ხანა, არც ის, რომ იგი თითქმის ბრბაა, კიდევ ბევრი, ბევრი რამ, მაგრამ ერთი რამ შემძლია უკვე გარკვევით ვთქვა — გულში სიმშვიდე მელერება, ხანა რაღაცნაირი „ჩემი“ ხდება, ეს კი ცოტა როდია საკუთარ ქვეყანას მოწყვეტილი ადამიანისთვის.

— დობრო უტრო, ხანოჩკა, — ვეუბნები მე.

— ოოო, მოია დევოკა პრიშლა, — მესმის ხანას ხალი-სიანი ხმა.

მე მხრებზე ვხევე ხელს, მისი თავი ჩემს მკერდს სწვდება. მის ყოველთვის აკურატულად დავარცხნილ სრულიად თეთრ ხშირ თმას ზემოდა დავყურებ.

— ნუ კაკ დელა? ჩტო ნოვოგო?

— ვსიო ხოროშო, ვსიო პრეკრასნო! — ამბობს ხანა და თავისი შესანიშნავად მელერი და მკაფიო ხმით იწყებს:

**ი ვოტ პრიშლა სუბოტა
ი კონჩინას რაბოტა,
ი ნამ ს ტაბოი ოხოტა,
კადრილი პოტანცევატა.
კადრილი მოია!**

მღერის ხანა თავისი მშვენიერი ხმით და გულს ხალისით მივცხვ. ასე მეგებება ხანა უკვე ოთხი წელია. ოთხი წლის განმავლობაში ყოველ შაბათ-კვირას მე მასთან დავდივარ.

„ტი დობრია ბიტ დო კონცა უ მენია“ — მეუბნება ის. ამგვარი პერსპექტივა, ცოტა არ იყოს, მამრებს და იმავდ-

როლიად მახალისებს. „ნეტავ, ვის „კონცე“-ს გულისხმობს, ჩემსა თუ თავისას“ — ვუყურებ მე.

ხანდახან ხანასთან მისი შეილიშვილი შემოიბრუნს. „კრასნოე სოლინოშე“ — ასე ეძიოს მის ხანა. ბებიას დახედავს, თავის ნერილებს შეამჩნევს და ვარსკი.

ეს ამერიკაა — „დრო ფულია“. მაგრამ, თუკი ბებიას დასჭირდა, დაუკონცებელი გამორწმუნება და სრულიად დაუზარებლად აუსრულებს ყველა თხოვნას.

აქ ამგვარი დამოკიდებულება მეტად იშვიათია და განსაკუთრებით ფასობს. ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი.

ხანას ერთადერთი ვაჟი ფლორიდამი დასახლება. მისი ყურადღება დედის მიმართ ძირითადად კვირასი ერთხელ დარეკვით შემოიფარგლება. ხანა გულმარტონია და არც ვაჟმა არც ვის 90 წლისთაზე ჩამოსვლა ინება და პრეს საჩუქარი გამოიმეტა. ოთხი წლის განმავლობაში ფიმა (ეს ვაჟის სახელი) მხოლოდ შაბათობით რეკავს და მათი სიტყვა-პასუხი უკვე ზეპირად მაქვს შესწავლილი.

ერთი ქალიშვილი დედისგან არცთუ შორს ცხოვრობს, ბევრს ავადმყოფობს და დედასთან მისვლას თევობით ვერ ახერხებს. ძირითადად ტელეფონით ვსაუბრება, მაგრამ ეს საუბარი გულისშემალინებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს და თვით ხანასთვისაც კი მეტად დამაქნეველია. სამშობაროდ, დედისა და შვილი სულიერად საკროო ბევრი არაფერი აქვთ, ამიტომ, როცა ხანას შელოთან საცხოვრებელად გადასვლის პერსპექტივაზე ველაპარაკებო, ხელებს ასავსავებს და გულწრფელად ამბობს, რომ მარტო ცხოვრებას მიეცევა და ძალიანაც მოსწონს.

მისი მეორე და უსაყვარლესი ქალიშვილი პერმინი დარჩა. ის ხშირად რეკავს, რამდენჯერმე ჩამოაკითხა კოდვეც დედის. ის მართლაც გამოჩნულია.

მე არ მჯერა ხუთი თითის „ოსტორია“ იმის შესახებ, რომ დედას ყველა შვილი ერთნაირად უყვარს. ნამდვილად არიან გამოჩნული შვილები, ზოგჯერ მიზეზიანად და ზოგჯერ — უმიზეზოდ.

... სტაფილოსფერი თავსაფარი საგულდაგულად დაკეცილი და ბაღის ქვეშ სათუთად ამოდებული. მეტალის სანალი, რომელიც ღლიაკზე მიჭერისთანავე მოსახერხებელ პოზიციამდ დგება. ძველი გაცრეცილი კომიდი, რომელსაც აქა-იქ, სარულ-სართულ შერჩენია ღამაში ჩუქურთმისანი სახელურები. მისი შედევნისას რატომაც ყოველთვის სევდა შემოკრობს ხოლმე და თვალმოკლებული ძველი ბექდის მღერი ბუდ ნარმოშიდგება თვალწინ.

სანლის ქვეშ ორი გაფაქრებული ჩემოდანია შევცრებული. ერთში ხანას საბუთები რუდუნებით აქვს დაკეცილ-ჩალავებული და ყველა ის ქალღიდი, რაც კი მის სახელზე ოდესმე მოსულა. მეორეში კი ხანა სეზონურად გამოსაცვლელ ტანისამოსს ინახავს და სულ იმას დარდობს, ემანდ ვინმე არ შემოძერვს ფანჯრიდან (მოუხდავად იმისა, რომ ფანჯრას გისოსები აქვს დატანებული) ან ტუალეტში გაჭერილი საპარო ღრიტოვან და მისი ავლა-დიდება ხელს არ გააყოლოს. ხანას ბინაში ყველაზე ძვირფასი მისი მეორე მსოფლიო ომის დროს მიღებული მებღებია და მუელის სხივია. მუელის შესახებ საუბრისას ხანას სადავლისფერ თვალებს ცრემლი მოადგება. ან ცრემლი ხანა არასდროს იწმენდს. ეს ცრემლი მოსაგონარი სანთელი-

ვით ანთია, ხანამ უშეს არ მოსწყდებოდა და სირბილ-სირბილთ არ დაემკვება დაბლა.

ხანას არ უყვარს ომის შესახებ ლაპარაკი. აქა-იქ გამოფრანავს ხოლმე გაულისშემძვრელი მოგონებანი, მაგრამ მანინვე მოუყრის თავს და გულის რომელიმე კუთხეში ჩაჩურჩაბს, აი ომის დროს მიღებულ ჯილდოებსა და მედლებს კი დიდი რუდუნებით უფლის და საითად ინახავს ნაჭრის ტომარაკში, რომელიც უკვე ცნობილი გაცრცილი კომოდის მესამე უფრის მარცხენა კუთხეში დევს.

მეორე მსოფლიო ომის დროს შეხვედრია ხანა ქართველ ჯარისკაცებსაც, რომლებსაც მისთვის რამდენიმე ქართული ფრანა და „სულიკო“ უსწავლევიათ. ხანას ფანჯრის წინ მოასფალტებული პატარა ეზოა. ამ ეზოში სადღაც ზემოდან ხის საფეხურებიანი მაღალი კიბე ეშვება. ამ კიბით მოედვიარ ხოლმე მე, თუკი მათობით რკინის უზარმაზარი კარიბჭე ღია დამებდა. ამ კიბეებით ჩამოდის მზეც, მაშინაც კი, როცა კარიბჭე საგულდაგულოდ და გადაეკეტული, მზე ორ ავლაცყუდა აგურის შენობას შორის არხვინად მერება და მოდის, მოაბიჯებს და მოედინება. ავსებს ხანას პატარა და მყუდრო სოროს, ცოტა ხნით იბუფებს მის საძინებელში და გახცნობრმას ეძღვევა. მზემ იცის, როგორ ელოდებოდა მას 92 წლის ჩინარ-თმუელი მოხუცი, იცის და არასდროს აგვიანებს.

„სოლნიშკო, მოე სოლნიშკო“ — ნეტარებით ჟურჩულებს ხანა, ილიმება და ვალერსება, ვალერსება და ეთაყვანება, როგორ წარმართო. მზეც ეფერება ხანას, ცდილობს მისი დაღუეული სხეულის ალყაში მოქცევას, ფრთხილად ბოჭავს თავი სხივებით, გაუმედავად მკლავებში იმწყვდევს, ეთამაშება, ხანა შეხარის მზეს. ხანა ბედნიერია.

ხანა საძინებელში გადის, ბელის ცეცებით იოლად აგნებს ბალიშის ქვეშ შეკეცილ თავის სტაფოლისფერ ხილამანდს და თავზე იხურავს. ოთახიდან გაედვიარს და ტახტზე ენება.

ენებში და ვფიქრობ ჩემი საყვარელი ბებიების და მათი თაობის შესახებ. მე ყოველთვის ვიცოდა მათი ფასი. მენატრებოდა უსაზღვროდ.

დღიან ვაღიას სიფრიფანა სხეული უმაღლე ამოცურდებდა, ლილისფერი ყოველთვის საითუთად დეფარცხნილი თმა, ვინორ სათვალე მზეზე ციმციმებს, თხელ თითებში, რა თქმა უნდა, ვანუყურელი პაპიროსი და მავკარანცხი ლიმბი. ალბათ, რამდენი რამის გაკეთებას მოვახერხებდი ახლა მათთვის გვიანაა? არა, შორია.

„აი ვსევდა მეოღა ბიტ მოსტომ დიდა ჩელოეჩესტვა, ნო კოსტლიომ — ნიკოგა“, — მესმის ჩემი 28 წელიწადს

გულავში გამოწვრთნილი და გამოტანჯული გაუტყებელი ბების* პათეტური ამოძახილი და მელიმება. ხა კარგი რამაა სიზმარი, როგორ მიხარია ხოლმე მათი ნახვა.

დედა და ვალია ისე აბოლავს პაპიროსს და მისი თხელი სათვალის მინები მზეზე ლალაპალებს.

ხანა ლოცულობს, მე ეს ვიცი, ამ ლოცვას მე უკვე ოთხი წელია თვავს ვადევნებ. ოდნე შეღებულ კარს მიღმა თავხეზილბანდფარებული მუხლებზე, უღონოდ ხელებდანწყობილი გრმა მოხუცი ზის. ხანა ბუტბუტებს, ბუტბუტებს გაურერბლად, ვუყურებ და სულ რაღაც უცნაური შეგრძნება მიპყრობს, ხანდახან შიშაც კი ამბებს ხოლმე. სადაფისფერი თვალები სადღაც იმზირებანი, რა-

ღაცას გარკვევით ხედავენ, ხანდახან ისეთი გრძობა მეუფლება, რომ თვით უფალი ჩამოდის მასთან სასაუბროდ.

სხვანაირად ლოცულობენ მარტოხლები,

სხვანაირად ლოცულობენ მარტოხლები, თან გრმები.

დიდი ძალა აქვს მათ ლოცვადეობას.

მოპირდაპირე სახლის პირველი სართლის ფანჯრიდან ხანას ხანდახან უზარმაზარი თეთრი შავლაქება კატა ესტუმრება, ძვრება გისოებს შორის და სრულიად მოურიდებლად ათვალეირებს ხანას საძინებელს. ხანა უკვე მიჩვეულია ამ უცხო ხმაურს, კატის მაგივრად დიდ ლაქას ხედავს, მაგრამ ხეუბა, რომ მას მოპირდაპირე სახლიდან მოაკითხეს. ხანას ამ თავხედი და ცნობისმოყვარე კატისთვისაც მყოფის მოსაფერებელი სიტყვები, ეს კარგად იცის კატამაც, ვისთვის შორის გაიჭიბება, თავის გადმონაცობს და მზეზე შავი კულის არხვინი ქნევით ადევნებს თვალისთვის მოასფალტებული მკვდარი პატარა ეზოს ერთფეროვნად და ულიმანო ყოფას.

ხანას საოცრად ნათელი გონება აქვს, ზეპირად ახსოვს ყველას ტელეფონის ნომერი და დაბადების დღეები. მხოლოდ გადაასომწებლად დამიძახებს ხოლმე. მეც ვადმომოვილებ მის მოზნდილ, კომოდივით ვაცვეთილ ნიგბას და ვუკითხავ. ამასწინათ ჩამაკითხა დეკემბრის ოქტილართა არცთუ მოკლე სია და მიუხრდა, ვაკვირებულმა შევხედე.

- გადამალე!
- ვინ?
- ყველა!!!
- რატომ?
- აღარ არიან, — მოვიგო ყრულ.

* ივლისსხმება ლიზიკო ქვათარაძე, რომელმაც 28 წელი ვატარა ვაგასანულში და დაბრუნებულმა დანერა ნიწი „28 წელი გულავში“, რომელიც 2008 წელს გამოაქვეყნა გამოცემლობა „პეგასა“



მხატვარი ალექსანდრე სლოვისკი



ხანა მართლაც დადის „სადიკში“. ასე უკვირა „Day Care Center“-ს „ჩვენებურად“. მარტოხელა მოზუტებისთვის ეს თემა წმიდათაწმიდაა. ამჯვარი ცენტრების რიცხვი საქმიათმე დიდია და არსებობა — სრულიად გამართლებულია. აქ თავის სხვადასხვა ასაკის ადამიანები იყრიან, ძირითადად — ხანშიშესულები. ენობა სინტერესო მოსავარი სავალმოხი, იმართება ცეკვები, კონტრტები. შეხვედრები გამოქრინლ მოღვაწეებსა და მსახიობებთან. აქ გატარებული 4-5 საათი საღებუნით ედება მოხუცთა მარტობით დიდლილ გულებს, ახლობლების მოსვლის უმიდო მოლოდინით ამოცარიედეულ თვალებს ცეცხლი უწინდება, კამიარებში სიხბლი თებდა და გინება ნათდება „პოპულა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

9 მისი ხანსათვის დიდი დღესასწაულია. ამ დღეს ის ყოველთვის განსაკუთრებულად ეშხადდება. საუკეთესო კაბას ჩაიცვამს. აისხამს თავის ვილიდობებს და ვასწევს „სადიკსენ“. მე მგონი, ეს ვილიდობი უფრო მეტს იწონის, ვიდრე ხანას სიფრთხილად და გამჭვირვალე სხეული, მაგრამ მისი ბედნიერი და წელგამართალი. საოცარია, ხანა 92 წლისაა, მაგრამ ხანა ახალგაზრდაა, ახალგაზრდაბა მანაც სულის მდგომარეობაა. ხანა ამის ცოცხალი დასტურია.

ხანა მადლიერი და, მამასადამე, ძალიან ბედნიერი ადამიანია. უფლება ეს იძიეთაი ნიჭიც არ დიანაბა მისთვის. ხანას მზე უნთია სულში და მზის ნათელი უწილავებს ყველას... მეგობრისათვის, ნათელი დღისათვის, მადლობელი ვარ“, — მესმის იწილავა თავგანწირული ხმა, რომცხვი „ზარაფით რეკეს გულში. მისი ეჭო ნეტარების გონებადამინდეულ ზვირთებად აწყდება ჩემს ძვალსა და გონებას და ანგრევს და ატორტმანებს.

ერთ არაჩვეულებრივ ქალს არაჩვეულებრივი შვილი მოუკლეს. კიბეზე კი ავიდიდი, მაგრამ გულიც და ფეხებზე უკან მრჩებოდა. ჩემი გონება უარს ამბობდა მიელო სინამდილე, თვალებს არ სურდათ დანახვა. მაგრამ ეს ყველაფერი იყო, დამანგრეული, გამანადგურებელი, მაგრამ იყო!!! მინიც რამდენის გაძლების უნარი აქვს ადამიანს...

რას საბინებლებს ყოფილა სირიშე ხალხში, ზღვა ხალხში. თითქოს ურთამინა დაბეხბო. ვებეადედი, როგორ ლაპარაკობდა ხალხი, ვილაც კედლითა ჩაცვტეულიყო და ხელებში თავჩარგული ჩემზე, მაგრამ მანაც ქვითინებდა, ვებეადედი ტანმორჩილ ქალბატონს, რომელიც მთელი საღამო კითხულობდა ფსალმუნებს, მაგრამ მანაც სამარისებური სირიშე იდგა, თითქოს მუხჯი ფილმის კინოკადრებს ვადევენდით თვალს.

არაჩვეულებრივი დედა თავისი არაჩვეულებრივი შვილის ცხადებთან მჯდარი. ირგვლე ვერვინი ბედავს მიახლოებასაც კი. ისინი მარტობი არიან. ასევე მარტო და ერთსეილი აქებენ მერეც მთელი ცხოვრება.

